



## ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №8/22

2017 წლის 30 მარტი  
ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბი ნანას” დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნებაზე. „საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის №748 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, ეთხოვათ მუნიციპალიტეტებში საჭადრაკო კლუბების აღდგენა/შექმნა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ითხოვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბი “ნანას” დაფუძნებაზე თანხმობას.

### აღნიშნულიდან გამომდინარე:

#### მუხლი 1.

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს (ი.კაკულია) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბი ნანას” დაფუძნებაზე.

2. ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - “ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საჭადრაკო კლუბი ნანას” დაფინანსება არ არის გათვალისწინებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და მას უფლება აქვს მიიღოს კანონმდებლობით ნებადართული ყველა შემოსავალი.

#### მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერმა (ი.კაკულია), საკრებულოს განკარგულების პირველი მუხლის შესრულებასთან დაკავშირებით განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები.

**მუხლი 3.**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის შესაბამისად, განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

**მუხლი 4.**

განკარგულება ძალაშია 2017 წლის 30 მარტიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია